საქართველო
ხონის მუნიციპალიტეტის მერი

ბრძანება:**ბ60. 602613814**

თარიღი:**18/05/2026**

ხონის მუნიციპალიტეტის მერიის რეორგანიზაციის გამო განსახორციელებელ ღონისძიებათა გეგმისა და პასუხისმგებელი პირების განსაზღვრის შესახებ

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 103-ე მუხლის პირველი პუნქტის, 104-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-4 პუნქტების, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის „ე“ პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტისა და 62-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. ხონის მუნიციპალიტეტის მერიის (შემდგომში - მერია) რეორგანიზაციის დაგეგმვის მიზნით, დამტკიცდეს რეორგანიზაციის გამო განსახორციელებელ ღონისძიებათა გეგმა ამ ბრძანების დანართის შესაბამისად და განისაზღვროს პასუხისმგებელი პირები. (დანართი თან ერთვის).

2. მერიის რეორგანიზაციის გამო განსახორციელებელ ღონისძიებათა გეგმის შესრულებაზე საერთო ხელმძღვანელობა და კოორდინაცია დაევალოს მერის მოადგილეს გერასიმე მჟავანაძეს.

3. დაევალოს ადმინისტრაციული სამსახურს (ამირან კინწურაშვილი) რეორგანიზაციის გამო განსახორციელებელ ღონისძიებათა გეგმის საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციისთვის გაგზავნა.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში სამტრედიის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ.სამტრედია,ძმები ნინუების ქუჩა N1).

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ლადო ჯურხაძე

ხონის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი